

## ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

დამტკიცებულია შპს ავიცენას საერთაშორისო  
საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის  
ბრძანება N01/24 2021 წლის 21 ოქტომბერი



### პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

#### თავი I. ზოგადი დებულებანი

##### მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის (შემდგომში - „კოლეჯი“) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში - „წესი“) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, კოლეჯის დებულების და პროფესიული განათლების მარეგულირებელი სხვა აქტების საფუძველზე.
2. ამ წესის მიზანია განსაზღვროს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა, სტუდენტის უფლება-მოვალეობები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

##### თავი II. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესი.

##### მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების, ასევე დამტკიცების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურა რეგულირდება კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციით.

##### თავი III. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

### მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები რეგულირდება კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესითა და პირობებით“ (დანართი 1). კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის განუყოფელი ნაწილია.

2. დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხასა და წარდგენის ვადებს.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტი ვალდებულია დადგენილ ვადაში კოლეჯს წარუდგინოს ყველა სავალდებულო დოკუმენტი.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 2 დღისა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე, კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტს და აფორმებს მასთან ხელშეკრულებას (ხოლო იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი შეზღუდულ ქმედუნარიანია მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან) აპლიკანტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

5. დირექტორის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა შესაბამისი მონაცემები უნდა აისახოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

6. პირს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი რექტორის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემის, მასთან ხელშეკრულების გაფორმებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახვის შემდეგ.

### მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე

1. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე მოიცავს:

ა) ჩარიცხვისას წარმოდგენილ ყველა დოკუმენტს;

ბ) ხელშეკრულებას;

გ) პროფესიული სტუდენტის სასწავლო ბარათს;

დ) პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებით გამოცემული ყველა სამართლებრივი აქტის დამოწმებულ ამონაწერს ან დამოწმებულ ასლს;

ე) კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტზე გაცემული სერტიფიკატებისა და დიპლომების ასლებს;

ვ) სხვა დოკუმენტს ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით.

2. პროფესიული სტუდენტის პირად საქმეს და სასწავლო ბარათის შევსებას აწარმოებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.

3. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმის შენახვისა და განკარგვის პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### მუხლი 5. კოლეჯში მობილობის წესით ჩარიცხვა

1. პროფესიული სტუდენტის გარე მობილობა და შიდა მობილობა (შემდგომში - „მობილობა“) არის პროფესიულ სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლებისა და კრედიტების აღიარება.

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

2. მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პროფესიული სტუდენტი.
3. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
4. მობილობის განხორციელება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:
  - ა) თუ პროფესიულ სტუდენტს სურს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება (შიდა მობილობა) ან სხვა დაწესებულებაში გადასვლა (გარე მობილობა);
  - ბ) თუ სხვა დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს სურს გადმოსვლა კოლეჯში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
5. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.
6. პროფესიული სტუდენტები, რომელთა დაწესებულებები ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ან დაწესებულებამ დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, მიიჩნევიან პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება ამ წესით დადგენილი პირობები.
7. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოემოხა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.
8. გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს კოლეჯს, ხოლო შიდა მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს კოლეჯს. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.
9. კოლეჯი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან (შემდგომში - „სისტემა“) დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.
10. კოლეჯი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:
  - ა) კოლეჯს არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
  - ბ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმდები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;
  - გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს კოლეჯის მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
11. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.
12. კოლეჯი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე წესის შესაბამისად.
13. მობილობით სტუდენტის ჩარიცხვა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და აღნიშნული ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახება სისტემაში. სისტემის მონაცემების საფუძველზე კოლეჯი, პროფესიული სტუდენტის მობილობის შემთხვევაში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სისტემაში.

### მუხლი 6. მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიღებული განათლების აღიარება

1. კოლეჯი ადგენს მის საგანმანათლებლო პროგრამებთან, მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
2. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად, შესაძლებელია დადგინდეს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი და კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/მოდულების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
4. კოლეჯი უფლებამოსილია, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველი პირის პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით/პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება და მათი საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა. თავსებადობის არარსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია.
5. მობილობის მსურველთა განცხადებების განხილვისა და პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება, კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სპეციალური კომისიის მიერ. კომისიის შემადგენლობაში შედიან პირები, რომლებსაც აქვთ სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის კომპეტენცია.
6. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კოლეჯში მობილობის წესით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისა და განათლების აღიარების თაობაზე ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
7. პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8. პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარებას მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, ახდენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### მუხლი 7. პირის მიერ ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების აღიარების პრინციპები

1. დასაშვებია მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება მოთხოვნილი პროგრამის მიზნებისათვის შემდეგ შემთხვევებში:
  - ა) სწავლის შედეგები ემთხვევა ერთმანეთს;
  - ბ) სწავლის შედეგების ფორმულირება განსხვავებულია, თუმცა შინაარსობრივად შეიძლება იდენტურად იქნეს მიჩნეული;
  - გ) მიღწეული სწავლის შედეგი მოიცავს მოთხოვნილი პროგრამის სწავლის შედეგს, ანუ ვერ იქნებოდა მიღწეული, ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის გარეშე;

## ავიჯენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

2. სწავლის შედეგების შესაბამისი შესრულების კრიტერიუმებს შორის განსხვავება არ შეიძლება გახდეს სწავლის შედეგის აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი.

### მუხლი 8. პირის მიერ მიღებული არაფორმალური განათლების აღიარება

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება გულისხმობს არაფორმალური გზით შეძენილი პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმებას.
2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.
3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი პირი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლად (შემდგომში - „მაძიებელი“) დაიშვება, თუ იგი აკმაყოფილებს პროფესიული განათლების მიღებისათვის და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ წინაპირობებს.
4. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პირის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში.

### მუხლი 9. პირის მიერ მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების წესი და პროცედურა

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით პირი მიმართავს კოლეჯს მხოლოდ იმ კვალიფიკაციათა ნაწილში, რომელი კვალიფიკაციის და საფეხურის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსაც ახორციელებს კოლეჯი.
2. აღიარების მოთხოვნის შესახებ განაცხადის საფუძველზე, აღიარების მსურველი ხვდება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს, რომელიც კონსულტაციას უწევს პირს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ;
3. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი:
  - ა) უზრუნველყოფს პირის ინფორმირებას არაფორმალური პროფესიული განათლების, მისი აღიარების მიზნებისა და შედეგების შესახებ;
  - ბ) პირს აწვდის ინფორმაციას არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის, ასევე დაწესებული საფასურის შესახებ;
  - გ) უზრუნველყოფს პირის ინფორმირებას მისთვის სასურველი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის შესახებ;
  - დ) ეხმარება პირს თვითშეფასების კითხვარის მეშვეობით განსაზღვროს არაფორმალურად შეძენილი პროფესიული კომპეტენციები და არსებობის შემთხვევაში დაადასტუროს ისინი შესაბამისი დოკუმენტაციით;
  - ე) პირს განუმარტავს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ეტაპებს;
  - ვ) შუამდგომლობს შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებისათვის პირისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.
4. არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს:
  - ა) აღიარების შესახებ განცხადება;
  - ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად) ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის გარეშე;
  - გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - დ) პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში), რომელიც შეიცავს ინფორმაციას პრაქტიკული მუშაობის ვადის,

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

განხორციელებული საქმიანობის ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (შრომითი ხელშეკრულებები, სამუშაოს აღწერები, ცნობა, სერტიფიკატი და ა.შ.).

5. კოლეჯის დირექტორი, წინამდებარე წესის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისა და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მამიებლად ცნობისა და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის შექმნის, ან მამიებლად ცნობაზე უარის თქმის შესახებ, რის თაობაზეც გამოსცემს ბრძანებას.

6. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიაში შედიან:

ა) დამსაქმებელთა წარმომადგენელი;

ბ) შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლები, რომლებიც არ არიან კოლეჯის თანამშრომლები;

გ) კოლეჯის დამხმარე პერსონალის წარმომადგენელი.

7. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია, კომისიის ოქმის სახით იღებს გადაწყვეტილებას, სადაც აღინიშნება ის ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთა ფლობაც დადასტურდა განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით და კომპეტენციები, რომლებიც უნდა შემოწმდეს გამოცდის/გამოცდების მეშვეობით.

8. იმ კომპეტენციების შემოწმების მიზნით, რომელთა ფლობაც ვერ დადასტურდა სათანადო დოკუმენტაციით, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებით იქმნება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების საგამოცდო კომისია/საგამოცდო კომისიები.

9. კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახურის უფროსი უზრუნველყოფს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მამიებლის ინფორმირებას საგამოცდო კომისიის/საგამოცდო კომისიების შექმნის, გამოცდის/გამოცდების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ.

10. საგამოცდო კომისია შედგება დარგის სპეციალისტებისაგან და შესაბამისი დარგის დამსაქმებლებისგან. საგამოცდო კომისიის წევრი შესაძლებელია იყოს ასევე კონსულტანტი (ხმის უფლების გარეშე).

11. საგამოცდო კომისია კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების შეფასებას ახორციელებს დადასტურდა - არ დადასტურდა სისტემის შესაბამისად.

12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოცდა შეიძლება ჩატარდეს როგორც წერილობით (ტესტები, კაზუსი, თეორიული საკითხი და/ან სხვ.), ასევე გასაუბრების ფორმით. მამიებლის პრაქტიკული კომპეტენციების შემოწმების მიზნით გამოცდა ტარდება კოლეჯის ან/და დამსაქმებლის ბაზაზე. გამოცდის/გამოცდების მეთოდს/მეთოდებს საგამოცდო კომისია განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ადეკვატურად.

13. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცესზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების დაშვებისთვის საგამოცდო კომისია ახდენს გამოცდის მეთოდების მოდიფიცირებას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

14. გამოცდის შედეგების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) მამიებლის არაფორმალური პროფესიული განათლების სრულად აღიარების შესახებ;

ბ) მამიებლის არაფორმალური პროფესიული განათლების ნაწილობრივ აღიარების შესახებ;

გ) მამიებლის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

15. თუკი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას მამიებლის არაფორმალური პროფესიული განათლების ნაწილობრივ აღიარების შესახებ, კომისია

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

გადაწყვეტილებაში ასევე მიუთითებს, თუ რომელი კომპეტენციების დამატებით დაუფლების შემთხვევაში ექნება მას პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის სრული აღიარების მოპოვების შესაძლებლობა. სრული აღიარების მოპოვების შესაძლებლობა გულისხმობს ასევე პირის მიერ დამატებით არაფორმალური პროფესიული განათლების მიღებასა და მის შემდგომ აღიარებას. არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში – მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფეხურს ან მის ნაწილს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები, ასევე ცალკეული კომპონენტების შეფასებებს.

16. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, რომელიც გამოიცემა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის ოქმის საფუძველზე, ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

17. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული ბრძანება მოიცავს:

- ა) დაწესებულების დასახელებას;
- ბ) განმცხადებლის ვინაობას;
- გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;
- დ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.

18. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის ოქმი წარმოადგენს ბრძანების განუყოფელ ნაწილს.

19. გადაწყვეტილება კოლეჯის დირექტორის ბრძანებიდან 5 დღეში აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

### **მუხლი 10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ქვემოთ მოცემულ მექანიზმებს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით:

ა) კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;

ბ) კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესაძლებლობით უზრუნველყოფას;

გ) კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მონათესავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც თავად ახორციელებს;

დ) ამ მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარება;

ე) ამ მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში თუ კი პროფესიული სტუდენტი წერილობით უარს განაცხადებს არსებულ მექანიზმებზე, კოლეჯი ახორციელებს შესაბამისი სერთიფიკატის/ცნობის გაცემას აღნიშნული პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების საფუძველზე.

### **მუხლი 11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ხუთზე ნაკლები რაოდენობის პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პირობები**

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჯგუფი არ გაიხსნება, თუ მასზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია.

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

2. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც ჩაირიცხა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც ჩაირიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია უფლება აქვს:

ა) სწავლის გაგრძელების მიზნით ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა დაწესებულებაში იმ პროფესიულ სპეციალიზაციაზე, რომელზეც ჩაირიცხა და სწავლობდა იგი მობილობის განხორციელებამდე;

ბ) ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით მის მიერ ჩაბარებული გამოცდის შესატყვის სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე;

დ) შეიჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი და შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

### თავი IV. სასწავლო პროცესის ორგანიზება

#### მუხლი 12. სასწავლო პროცესის ორგანიზება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

1. სასწავლო პროცესის მენეჯმენტზე პასუხისმგებელია კოლეჯის დირექტორი.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყება/დამთავრება რეგულირდება კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს თეორიულ სწავლებას, სასწავლო ან/და საწარმოო პრაქტიკას;
5. პროგრამა აერთიანებს პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო სასწავლო კურსებს/მოდულებს. პროგრამით განისაზღვრება პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები;
6. მოდული არის სწავლების დამოუკიდებელი, თანამიმდევრული ბლოკი, რომელიც ორიენტირებულია მისაღწევ სწავლის შედეგებზე. მოდულით განისაზღვრება სასწავლო თემატიკისა და მისაღწევი სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი და პროფესიული სტუდენტის სწავლებასა და შეფასების ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
7. კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში;
8. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) განისაზღვრება მეცადინეობების განრიგით;
9. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს მეცადინეობების განრიგის მიხედვით, რომელსაც ადგენს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.
10. მეცადინეობების განრიგი მოიცავს შემდეგ მონაცემებს:
  - 10.1. მოდულის დასახელებას;
  - 10.2. პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელსა და გვარს;
  - 10.3. მეცადინეობების ჩატარების დროს;
  - 10.4. მეცადინეობების ჩატარების ადგილს.



## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

11. აკადემიური ჯგუფი შედგება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 25 პროფესიული სტუდენტისგან.
12. სწავლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
13. სადღესასწაულო ან სხვა უქმე დღეების მეცადინეობების განრიგით გათვალისწინებული ლექციების აღდგენა განხორციელდება იმავე ან მომდევნო კვირის შაბათ დღეს.

### **მუხლი 13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი**

1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სწავლებისა და სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს:

- ა) კოლეჯის შენობაში თავისუფლად შეღწევის შესაძლებლობას;
- ბ) აუცილებლობის შემთხვევაში დაცვა-უსაფრთხოების მუშაკის/მუშაკების გამოყოფას შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე;

2. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის კოლეჯის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - პროფესიულის საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით;

3. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

### **მუხლი 14. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრა პროფესიულ (მოდულურ) საგანმანათლებლო პროგრამაზე.**

1. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა საშუალო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა.
2. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით.
3. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, პროექტორით.
4. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით - ინვენტარით.
5. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.

6. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A,B და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება;

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, ღია სივრცეში, შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა.

8. B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს, შესაბამისად B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს B სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ორმოცმაგი რაოდენობა.

9. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ რაოდენობებს შორის უმცირესს.

10. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი.

11. ოც პროფესიულ სტუდენტზე კოლეჯს ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი.

12. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს ავტორიზაციის საბჭო ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეჯის მიერ ცენტრში წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადში მითითებული ადგილების რაოდენობის მიხედვით.

### თავი V. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, სტატუსის აღდგენა, სტატუსის შეწყვეტა

#### მუხლი 15. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე“.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობა;

ბ) სამხედრო-სარეზერვო სამსახურში გაწვევა;

გ) სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა;

დ) უცხო ქვეყანაში სასწავლებლად წასვლა, გარდა გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება;

ე) პირადი განცხადება მიზეზის მითითებით. მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი;

ვ) სხვა საპატიო მიზეზი (მისგან დამოუკიდებელი).

3. პროფესიულმა სტუდენტმა სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს (განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 3 წელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება კოლეჯის სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს სისტემაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.

### მუხლი 16. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია პროფესიული სტუდენტის განცხადების საფუძველზე.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ კოლეჯი განახორციელებს მიღებას შემდეგ ნაკადზე.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება და მონაცემები აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში დირექტორის ბრძანებიდან 5 დღეში.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა შესაძლებელია იმავე ან მონათესავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ.

6. იმ შემთხვევაში, თუ ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზედაც ირიცხებოდა პროფესიული სტუდენტი მისთვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის გაუქმებულია, ან შეცვლილია პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს სხვა საგანმანათლებლო პროგრამით ან მობილობით გადავიდეს სხვა დაწესებულებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

### მუხლი 17. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა (თუ არ განხორციელდა მისი, როგორც პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა);

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) სწავლის ნებაყოფლობით შეწყვეტის შესახებ პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება;

დ) სასწავლო პერიოდში პროფესიული სტუდენტის აკადემიური ჩამორჩენილობა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა);

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (რომელზეც სწავლობს პროფესიული სტუდენტი) საერთო მოცულობის საკონტაქტო საათების 60%-ზე მეტი გაცდენა არასაკმატო მიზეზით;

ვ) ფინანსური დავალიანება;

ზ) ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას კოლეჯის დირექტორი მის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები არ ვრცელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტებზე.

## თავი VI. პროფესიული სტუდენტები

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

### მუხლი 18. პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- ბ) ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
- გ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება;
- დ) გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;
- ე) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერი საკითხის შესახებ;
- ვ) კოლეჯის მიერ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედება გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- ა) დაემორჩილოს წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებს და პროფესიული განათლების მასწავლებლის ან სასწავლო პროცესის სხვა უფლებამოსილი პირის შესაბამის მითითებებს;
- ბ) მზრუნველობით მოეპყროს და გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას;
- გ) პატივი სცეს სხვა სტუდენტის ღირსებას, არ დაუშვას მისი დაჩაგვრა ან რაიმე ქმედების იძულება;
- დ) დაიცვას და პერიოდულად ეცნობოდეს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ კოლეჯის დირექტორის სამართლებრივ აქტებს;
- ე) დროულად აცნობოს კოლეჯს მისამართის ან სხვა პირადი მონაცემის ცვლილების შესახებ;
- ვ) გაცდენის საპატიო საფუძვლის არსებობისას, დაუყოვნებლივ აცნობოს (განცხადება, ელექტრონული ფოსტა) კოლეჯს და გამოცხადებისთანავე წარმოადგინოს გაცდენის საპატიო საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

3. პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება:

- ა) ლექციის მიმდინარეობისას არასაპატიო მიზეზით აუდიტორიის დატოვება;
- ბ) ალკოჰოლური სასმელებისა და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთების კოლეჯის ტერიტორიაზე შეტანა და რაიმე ფორმით გამოყენება;
- გ) კოლეჯის ინფორმაციულ სივრცეში ყველა ტიპის კომპიუტერული თამაშები, არასანქცირებული ჩართვების განხორციელება, პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯთან, სალექციო პერიოდში საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება;
- დ) კოლეჯის შენობაში თამბაქოს მოწევა;
- ე) კოლეჯში არაფხიზელ მდგომარეობაში ან რაიმე ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ გამოცხადება.

4. პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯისათვის მიყენებული ზიანის გამო (რომლის ბრალითაც გამოწვეულია ზარალი) მატერიალური პასუხისმგებლობა პირდაპირი ნამდვილი ზიანის ოდენობით ეკისრება მას, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში - მის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს.

### მუხლი 19. პროფესიული სტუდენტის მიერ ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვის ვალდებულება

- 1. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია პატივი სცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებს, პატივსა და ღირსებას.
- 2. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია იზრუნოს კოლეჯის პრესტიჟის დაცვაზე და საქმიანობის გაუმჯობესებაზე, რაც გამოიხატება თანამშრომლებისა და დაინტერესებული პირებისადმი ყურადღებიან დამოკიდებულებაში.
- 3. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია კოლეჯსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიცვას სისუფთავე.

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

4. დაუშვებელია კოლეჯის დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელის ჩადენა.

### **მუხლი 20. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა**

1. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ წესითა და კოლეჯის სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

2. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის წარმოება არ უნდა ზღუდავდეს პროფესიული სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა ისეთი შემთხვევებისა თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, კოლეჯის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას. პროფესიული სტუდენტის დისციპლინური დევნის საკითხს წყვეტს სპეციალური კომისია, რომელიც დირექტორის ბრძანებით იქმნება. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს საკუთარი საქმის განხილვას;

3. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

4. დისციპლინური პასუხისმგებლობა გამოიყენება კოლეჯის პროფესიული სტუდენტების მიმართ მათ მიერ კოლეჯის ტერიტორიაზე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში;

5. პროფესიული სტუდენტის მიმართ გამოიყენება შემდეგი სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები;

ა) გაფრთხილება;

ბ) მატერიალური ზიანის ანაზღაურება;

გ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

### **თავი VII. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა**

#### **მუხლი 21. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ (მოდულურ) საგანმანათლებლო პროგრამებზე**

1. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

2. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის პროფესიული მასწავლებლის გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

3. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. ის ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

4. პროფესიული განათლების მასწავლებელი განმსაზღვრელ შეფასებაში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ (სწავლის შედეგი დადასტურდა/სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა) შესაფასებელ პირს აცნობს შეფასების თარიღიდან 3 სამუშაო დღის ვადაში; ინფორმაციის მიწოდება შეიძლება მოხდეს პირისპირ ან წერილობით. ჯგუფისთვის შეფასების შედეგების მიწოდება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული სტუდენტებისგან წინასწარ მოიპოვებს თანხმობას.
5. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს ზემოაღნიშნული უფლების რეალიზების საშუალება ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში ეძლევა მხოლოდ ორჯერ.
6. ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში სწავლის შედეგის ორჯერ ვერ დადასტურების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება ეძლევა განმეორებით გაიაროს მოდული, რისთვისაც ვალდებულია გადაიხადოს ზემოაღნიშნული მოდულის განმეორებით გავლის საფასური, რომელიც განისაზღვრება პროფესიული სტუდენტისათვის მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, ხოლო ერთი კრედიტის ღირებულება კი განისაზღვრება წინამდებარე წესის მიხედვით.
7. კალენდარულ გეგმასა და შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე წარადგენს ვერიფიკაციისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს თუ რომელ კრიტერიუმს გამოიყენებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას.
8. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკითხის შემსწავლელი დროებით კომისია (კომისიის შემადგენლობაში შედიან: სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი, შესაძლოა ამ პროგრამაზე ჩარიცხული რომელიმე სტუდენტი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძველზე ოქმის სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.
9. თუ განმეორებითი შეფასების საჭიროება განპირობებულია სწავლის შედეგის დაუდასტურებლობით, განმეორებითი შეფასებისას საჭიროა გამოკითხვისთვის საჭირო ინსტრუმენტის ცვლილება დახურული კითხვების გამოყენების შემთხვევაში, რათა გამოკითხვის სანდოობა იყოს უზრუნველყოფილი. პრაქტიკული უნარების განმეორებით დადასტურებისთვის შესასრულებელი დავალების ცვლილება სავალდებულო არაა; დავალების ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მოდულის განმახორციელებელი პირი.
10. განმეორებითი შეფასებისთვის შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის ვადა განისაზღვრება ინდივიდუალურად - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსისა და მოდულის განმახორციელებელი პირის შეთანხმების საფუძველზე.
11. შესრულების მტკიცებულება წარმოდგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას. ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებით.
12. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

13. შესრულების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
14. იმ შესაფასებელ პირთა შესრულების მტკიცებულებები, რომელთაც არ მიენიჭათ კვალიფიკაცია, ინახება პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით.
15. შესრულების მტკიცებულებები მოიცავს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.
16. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
17. კონკრეტული მოდულის ფარგლებში შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.
18. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით.
19. პროფესიული სტუდენტი, რომელიც სრულად ვერ ითვისებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულს და წყვეტს სწავლას, უფლებამოსილია მოითხოვოს სერთიფიკატი განვლილი მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ.

### თავი VIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული დიპლომის გაცემა

#### მუხლი 22. კვალიფიკაციის მინიჭება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტი, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან პროგრამით განსაზღვრული კრედიტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ მისი კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარდგინების საფუძველზე გამოცემული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
4. პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭება აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

#### მუხლი 23. პროფესიული დიპლომი

1. დირექტორის ბრძანების საფუძველზე მზადდება და გაცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი, რომელსაც ხელს აწერს დირექტორი და მოწმდება კოლეჯის ბეჭდით.
2. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული საფეხური შეიძლება მიეცეს დირექტორის მიერ ხელმოწერილი და კოლეჯის ბეჭდით დამოწმებული სათანადო მოწმობა.
3. კურსდამთავრებულზე, პროფესიულ დიპლომთან ერთად, დიპლომზე დამატებითი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, გაცემა დიპლომის დანართი. დიპლომის დანართს დამოუკიდებლად არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი ძალა.

### თავი IX. საკვალიფიკაციო გამოცდა

#### მუხლი 23. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი

გარკვეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ების (შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნის საფუძველზე) კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

გამოცდის ჩაბარება. გამოცდის თემატიკა ეყრდნობა კოლეჯის მიერ შემუშავებულ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და არ სცილდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. თემატიკა მოიცავს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული და/ან თეორიული სწავლის შედეგის/ების მიღწევის დადასტურებას/დემონსტრირებას.

### მუხლი 24. საკვალიფიკაციო კომისიის უფლებამოსილება

1. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ -ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, ათი დღით ადრე, არანაკლებ სამი წევრით განსაზღვრება საკვალიფიკაციო კომისიის (შემდეგში „კომისია“) შემადგენლობა, რომლის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ:

ა) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ან/და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მასწავლებელი;

ბ) პარტნიორი საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი ან/და შესაბამისი პროგრამის განხორციელებაში ჩართული ინსტრუქტორი/პირი;

გ) შესაბამისი მიმართულების პროფესიული ასოციაციის ან/და დამსაქმებლის წარმომადგენელი/წარმამადგენლები;

დ) საჭიროების შემთხვევაში, იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის დარგში კვალიფიკაციის მქონე წარმომადგენელი, რომელიც ახორციელებს მსგავსი მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

ე) საჭიროების შემთხვევაში, სხვა საჯარო ან კერძო დაწესებულების წარმომადგენელი.

2. კომისია გაწყვეტილების მიღების უნარიანია, თუ მას ესწრება საკვალიფიკაციო კომისიის წევრთა არანაკლებ  $\frac{3}{4}$ -ისა და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება კომისიის თავმჯდომარეს.

3. კომისია უფლებამოსილია:

ა) განსაზღვროს საგამოცდო თარიღი და ადგილი;

ბ) კონკრეტული პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიმუშაოს საგამოცდო საკითხები (მათ შორის განმეორებითი გამოცდის) ;

გ) მიიღოს გადაწყვეტილება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

4. კომისია შესრულებული სამუშაოს შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს საკვალიფიკაციო კომისიის ყველა დამსწრე წევრი. საკვალიფიკაციო კომისიის წევრის განსხვავებული აზრი დაერთება ოქმს, დანართის სახით.

5. კომისია ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე

### მუხლი 25. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მოსამზადებელი ეტაპი

1. კოლეჯს უფლება აქვს გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ითანამშრომლოს საკვალიფიკაციო გამოცდის მოსამზადებლად.

2. კონკრეტული პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საგამოცდო საკითხებს შეიმუშავებს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია.

3. კოლეჯი ვალდებულია მხარი დაუჭიროს საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებასა და ჩატარებას.

4. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მიერ პროფესიული სტუდენტის შეფასების ფორმა აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) დავალების შინაარსი;



## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

ბ) დავალების შესრულების დრო და ადგილი;

გ) შეფასების კრიტერიუმები;

დ) გამოცდის ორგანიზებისათვის დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში).

5. საგამოცდო საკითხები ცნობილია მხოლოდ საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრებისათვის და აღნიშნული წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, გამოცდის საკითხების შემუშავებიდან გამოცდის დასრულებამდე.

6. შესაფასებელ პირს ათი კალენდარული დღით ადრე მიეწოდება ინფორმაცია გამოცდის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ, წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერი ფორმით.

### მუხლი 26. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება

1. საკვალიფიკაციო გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს თეორიული, პრაქტიკული ან/და თეორიულ-პრაქტიკული გამოცდის სახით.

2. საკვალიფიკაციო გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს კოლეჯის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ (საწარმოში/პრაქტიკის ობიექტზე).

3. საკვალიფიკაციო გამოცდის მსვლელობისას შესაძლებელია განხორციელდეს ფოტო გადაღება ან/და აუდიო ან/და ვიდეო ჩაწერა;

4. საკვალიფიკაციო გამოცდას ესწრებიან შესაბამისი ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრები.

5. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი, რომელიც ვერ ცხადდება გამოცდაზე, მინიმუმ ერთი სამუშაო დღით ადრე, ატყობინებს კოლეჯის ადმინისტრაციას, რის შემდეგაც გამოიცემა ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

6. საჭიროების შემთხვევაში, გამოცდას ესწრებიან კოლეჯის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის ფოტო და/ან ვიდეო გადაღებას, ასევე, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის ოქმის მომზადებას.

7. საკვალიფიკაციო გამოცდის მსვლელობისას დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის ყველა დამსწრე წევრი. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრის განსხვავებული აზრი დაერთება ოქმს, დანართის სახით.

8. პროფესიულ სტუდენტს გამოცდის შედეგების შესახებ ეცნობება წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერად გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა.

9. საკვალიფიკაციო გამოცდის მტკიცებულებაა პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი წერილობითი ნაწარმი/პროექტი/ ნებისმიერი სახის მატერიალურად შექმნილი პროდუქტი/ პროცესზე დაკვირვების შეფასებისა და ზეპირი გამოკითხვის ფურცელი. მტკიცებულებები ინახება კოლეჯში 3 წლის განმავლობაში.

### მუხლი 27. საკვალიფიკაციო გამოცდის სააპელაციო კომისია

1. პროფესიული სტუდენტი თუ არ ეთანხმება საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს, უფლება აქვს განცხადებით მიმართოს კოლეჯის დირექტორს და გასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება შედეგების გაცნობიდან მომდევნო სამი სამუშაო დღის ვადაში.

2. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ -ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით იქმნება სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ სამი წევრით და შედგება დარგის სპეციალისტისა და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლის ან დამსაქმებელისაგან. (საჩივრის მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში).

3. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გამოიკვილოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და შეისწავლოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს მხარეები ( საკვალიფიკაციო კომისიის წევრი /ები, მომჩივანი).

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

4. სააპელაციო კომისია, ხმათა უმრავლესობით, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას კომისიის გადაწყვეტილების გაზიარების ან/და კომისიისთვის გადაწყვეტილების ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

5. კომისია განმეორებით განიხილავს სააპელაციო კომისიის მიერ მისთვის დაბრუნებულ გადაწყვეტილებას და, სათანადო დასაბუთებით, ცვლის ან უცვლელად ტოვებს მის მიერ მიღებულ თავდაპირველ გადაწყვეტილებას, რისთვისაც კომისიას განესაზღვრება სამი სამუშაო დღე.

### **მუხლი 28. განმეორებითი გამოცდა**

1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გაუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შეთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გამოცდის შედეგების გაცნობიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, განმეორებით გავიდეს გამოცდაზე, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს.

2. განმეორებითი გამოცდის ჩაბარების უფლებით სარგებლობა პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მხოლოდ ერთჯერადად.

3. განმეორებითი გამოცდისათვის იქმნება ახალი საგამოცდო საკითხები.

4. გამოცდის/განმეორებითი გამოცდის/ კომისიის/სააპელაციო კომისიის კოლეჯის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/ შედეგის გაასაჩივრების უფლების შესახებ სტუდენტს ეცნობება კომისიის მიერ გამოცდის დაწყებამდე.

### **თავი X. პროფესიული განათლების მასწავლებლები**

#### **მუხლი 29. პროფესიული განათლების მასწავლებელი**

1. სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის კოლეჯს ყავს სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შერჩეული შესაბამისი ოდენობის პროფესიული განათლების მასწავლებელი.

2. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების მფლობელი პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში და აქვს შესაბამისი დარგობრივი პროფილით მუშაობის არანაკლებ სამწლიანი და/ან პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება.

3. შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები.

4. პროფესიული განათლების მასწავლებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღება შეიძლება განხორციელდეს, ასევე, კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების წესს და პირობებს განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი.

#### **მუხლი 30. პროფესიული განათლების მასწავლებლის უფლებები და მოვალეობები**

1. პროფესიული განათლების მასწავლებელმა აუცილებელია სათანადოდ დაიცვას:

ა) კოლეჯის შინაგანაწესი;

ბ) მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობები;

გ) ეთიკის კოდექსი და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმები;

დ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და ვალდებულებები.

2. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია:

ა) საკუთარი ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, კოლეჯის გადაწყვეტილებით, გააგრძელოს მუშაობა კოლეჯის მიერ განსაზღვრულ დრომდე ან დაწყებული სასწავლო პროგრამის დასრულებამდე;

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

- ბ) მეცადინეობების პერიოდში გააკონტროლოს და ზედამხედველობა გაუწიოს პროფესიული სტუდენტის ქმედებებს და ნებისმიერი უწყსრიგობის შემთხვევაში ოპერატიულად აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას;
  - გ) მიიღოს ყველა გონივრული და სამართლებრივი ზომა, რათა სასწავლო პროცესზე/მეცადინეობაზე ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე არ დაუშვას სხვა არაუფლებამოსილი პირი;
  - დ) მეცადინეობების დაწყებამდე დააფიქსიროს ხელმოწერა საათობრივი აღრიცხვის ტაბელის ყოველდღიურ ჟურნალში;
  - ე) არ დაუშვას სასწავლო პროცესის პოლიტიზირება;
  - ვ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, აწარმოოს სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალის გამოყენება;
  - ზ) აწარმოოს პროფესიულ სტუდენტთა დასწრება/მოსწრების ჟურნალი;
  - თ) მიიღოს ყველა გონივრული ზომა პროფესიული სტუდენტის ცოდნისა და მიღწევების სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით;
  - ი) მზრუნველობით მოეპყროს კოლეჯის ქონებას და მიიღოს ზომები ზიანის თავიდან ასაცილებლად;
  - კ) არ დაუშვას ლექციის/პრაქტიკული მეცადინეობის გაცდენა/ჩაშლა;
  - ლ) კოლეჯზე მიყენებული ზიანის შემთხვევაში ანაზღაუროს მიყენებული ზიანი;
  - მ) საკუთარი ინიციატივით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტამდე არაუგვიანეს 30 დღისა წერილობითი ფორმით აცნობოს კოლეჯის დირექტორს.
3. პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება აქვს:
- ა) მოთხოვოს დამსაქმებელს მუშაობისათვის აუცილებელი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო;
  - ბ) დროულად მიიღოს შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი შესაბამისი შრომითი ანაზღაურება.

### თავი XI. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის, ასევე სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესი

#### მუხლი 31. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი

1. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და უნდა ინახებოდეს ამ მუხლით დადგენილი წესით.
2. პროდუქტი, რომელიც არსებობს დოკუმენტაციის სახით (ტესტები, პროექტები, მასწავლებლის დაკვირვების ფორმები და სხვა) ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან გადაეცემა ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის.
3. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენილია ელექტრონული სახით უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან გადაეცემა ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის.
4. პროდუქტი, რომელიც განთავსებულია გლობალურ ქსელში (ინტერნეტი), ელექტრონული მისამართები იწერება რეესტრში და რეესტრი ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც შესაძლებელია წაიშალოს.
5. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მატერიალური სახის შემოქმედებით ნაშრომს (ნახატი, მაკეტი და სხვა) ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წლის განმავლობაში. შესაძლოა შენახვის პერიოდში გამოყენებულ იქნას საგანმანათლებლო მიზნებისათვის, რის შემდეგაც შესაძლოა მისი განკარგვა კანონმდებლობით დადგენილი წესით ან აღნიშნული პროდუქტი რჩება კოლეჯში საგანმანათლებლო მიზნებისათვის.
6. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მალფუჭებად საქონელს, უნდა დაფიქსირდეს ფოტო ან ვიდეო გამოსახულების სახით, რაც ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წლის განმავლობაში. შესაძლოა

## ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

პროდუქტის განადგურება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან ხდება სხვაგვარად განკარგვა კოლეჯის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული პროდუქტის სხვაგვარად განკარგვა გარდა განადგურებისა, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს ქვეყანაში დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენურ და უსაფრთხოების ნორმებს.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული პირობების კონტროლი და შესაძლო შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯის ადმინისტრაციას.

9. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი ავტორ(ებ)ის/შემქნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია.

### **მუხლი 32. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია**

1. სასწავლო პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს.

2. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი მოდულის განმახორციელებელს.

3. უტილიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი პროფესიული სტუნდენტების მონაწილეობით, როგორც საგანმანათლებლო პროცესის ნაწილი.

4. განხორციელებული უტილიზაციის პროცედურის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილ სამსახურეობრივ ბარათში/ანგარიშში.

## **თავი XII. დასკვნითი დებულებანი**

### **მუხლი 33. წესის დამტკიცება**

1. წინამდებარე წესს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

2. წინამდებარე წესში ცვლილების შეტანა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

### **მუხლი 34. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ძალაში შესვლა**

წესი ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით მისი კოლეჯში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას ღიად განთავსებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

## ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

### პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები

#### თავი I ზოგადი დებულებები

##### მუხლი 1. რეგულირების სფერო

ამ წესით რეგულირდება შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯში (შემდგომში - კოლეჯი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში - პროგრამა) ჩარიცხვის წესი, პირობები (შემდგომში - წესი) და ადგენს პროგრამაზე პირთა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურას.

##### მუხლი 2. წესის მიზანი

1. წინამდებარე წესი არეგულირებს დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურებს.
2. აღნიშნული წესის მიზანია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებული, ობიექტური, გამჭვირვალე მიდგომით, პროფესიულ სტუდენტთა მოზიდვისა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

#### თავი II პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება

##### მუხლი 3. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება

1. დაწესებულება დაინტერესებულ პირებს მომართვის შემთხვევაში აცნობს:
  - ა) პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობებს;
  - ბ) კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და შერჩევის თავისებურებებს;
  - გ) პროგრამაზე რეგისტრაციის პროცედურებს და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება რეგისტრაციაში;
  - დ) საგანმანათლებლო სერვისებს, პროგრამის თავისებურებებს (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელების, დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი, პროგრამის განხორციელების ფორმა, დაფინანსების შესაძლებლობების) და სხვა.
2. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში.

##### მუხლი 4. პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

1. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
  - ა) დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება
  - ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;
  - გ) შერჩევა;
  - დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა;
  - ე) შედეგების გამოცხადება და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება;
  - ვ) დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში).

##### მუხლი 6. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში [www.vet.emis.ge](http://www.vet.emis.ge) და რეგისტრირდება აპლიკანტად.

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

2. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.
3. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.
4. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დაწესებულების მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.
5. შერჩევის პერიოდი და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

### მუხლი 7. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა

1. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს აპლიკანტთა შეფასებას პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით.
2. შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო უცხოენოვანი პროგრამის არსებობის შემთხვევაში ამ პროგრამის ენაზეც.
3. შეფასება ტარდება კოლეჯში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.
4. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტესტირების ან/და გასაუბრების საფუძველზე.
5. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტესტირების ან/და გასაუბრების საფუძველზე.
6. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტესტირების ან/და გასაუბრების საფუძველზე.
7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება გასაუბრების საფუძველზე.
8. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. პროგრამაზე მიღებისთვის ტესტირებასთან ერთად, შესაძლებელია კოლეჯის მიერ განსაზღვრული იყოს დამატებითი პირობა (მაგალითად გასაუბრება და სხვა) თუ პროგრამაზე მიღებისთვის ტესტირებასთან ერთად დადგენილია დაწესებულების მიერ შეფასება, თითოეული შეფასების შედეგების ხვედრითი წილი საბოლოო შედეგის გაანგარიშებისას არის 50%.
9. კოლეჯის მიერ საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს შერჩევის ფორმა თითოეული მიღებისთვის, ან/და პროგრამისთვის განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

### მუხლი 8. შერჩევაში მონაწილე აპლიკანტის ინფორმირება

1. კოლეჯში თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის აპლიკანტთა შეფასების თარიღები და დრო განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი

## ავიჯენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

- აქტით, შერჩევის პერიოდის გათვალისწინებით. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და განთავსდება დაწესებულების ოფიციალურ ვებ გვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.
2. აპლიკანტები შეფასების თარიღების და დროის შესახებ ინფორმაციას მიიღებენ სატელეფონო შეტყობინებით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, შეფასების პროცესამდე მინიმუმ ხუთი სამუშაო დღით ადრე.
  3. აპლიკანტებს შერჩევის პირობების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ შერჩევის დღეს შესარჩევი კომისიის მიერ.
  4. აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს შერჩევაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
  5. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი არ დაიშვება დაწესებულების მიერ ორგანიზებულ შერჩევაზე.

### თავი III ტესტირება

#### მუხლი 9. ტესტირებაში მონაწილეობის უფლება

1. ტესტირებაში მონაწილეობს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტი, რომელზე შერჩევის ფორმად კონკრეტული მიღებისთვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია ტესტირება.

#### მუხლი 10. ტესტირების შინაარსი

1. ტესტირების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნის/საგანთა ჯგუფი, ყოველ კონკრეტულ მიღებისთვის განისაზღვრება შესარჩევი კომისიის მიერ.
2. ტესტირება შეიძლება დაწესდეს შემდეგი საგანში/საგანებში:
  - ა) წიგნიერება;
  - ბ) მათემატიკა;
  - გ) ქიმია;
  - დ) ფიზიკა;
  - ე) ბიოლოგია.
  - ვ) ინგლისური ენა
  - ზ) უნარები
3. თუ პროგრამისთვის განისაზღვრა საგანთა ჯგუფი, აპლიკანტი აბარებს ამ საგანთა ჯგუფში შემავალ ყველა საგანს.
4. თითოეული პროგრამისთვის, ყოველ კონკრეტული მიღებისთვის საგამოცდო კომისიის ან პარტნიორი ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ტესტი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
5. ტესტის მონაცემთა ბაზა დაცულია პაროლით და აკრძალულია კითხვების ბაზის გასაჯაროება ნებისმიერი ფორმით.
6. ტესტირება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც ელექტრონული/კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, ასევე არაელექტრონული ფორმით კოლეჯში.
7. ტესტირების ფორმა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, საგამოცდო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

#### მუხლი 11 . საგამოცდო კომისიის ფორმირება

1. საგამოცდო კომისია მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

2. საგამოცდო კომისია განისაზღვრება მინიმუმ სამი წევრით, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრ(ებ)ი;
3. საგამოცდო კომისიაში შედის დარგის სპეციალისტი (პროგრამის ხელმძღვანელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი/დამსაქმებელი). შესაძლებელია კომისიის წევრი ასევე იყოს პარტნიორი ორგანიზაციიდან/თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციიდან ერთი წარმომადგენელი.
4. კომისიის წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ.
5. საგამოცდო კომისიის მიერ ხდება პროგრამის ფარგლებში მისაღები კვოტის შესაბამისად იმ აპლიკანტთა გამოვლენა, რომელთაც გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - რეიტინგული სიებით უმაღლესიდან უმდაბლესისკენ.
6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ტესტირების საბოლოო შედეგები აისახება შესაბამის კომისიის სხდომის ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

### მუხლი 12. შეფასების მეთოდები და ეტაპები

1. ტესტირება ფასდება საგამოცდო კომისიის მიერ დადგენილი წესით.
2. ტესტირების ხანგრძლივობას ადგენს საგამოცდო კომისია.
3. ტესტირებისთვის განკუთვნილი საკითხების შემუშავება ხდება პროგრამების მიხედვით და მათი რაოდენობა განისაზღვრება საკითხის სირთულიდან გამომდინარე.
4. ტესტირებას ესწრება ერთი ან ორი დამკვირვებელი, რომელიც არ უნდა იყოს იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შერჩევა.
5. ტესტირება, რომელიც ტარდება არაელექტრონული ფორმით, საგამოცდო კომისიის წევრები დამოუკიდებლად აფასებენ აპლიკანტის ნამუშევარს და წერენ შეფასებას/ქულას.
6. შეკითხვებზე პასუხების შეფასებისთვის, შესარჩევი კომისიის წევრები იყენებენ სწორი პასუხების ფურცელს, რომელიც ხელმისაწვდომია ყოველი გამოცდისას. ეს პასუხები ინახება საგამოცდო/ტესტირების დოკუმენტაციასთან ერთად.
7. საგამოცდო კომისიის წევრი ადარებს ერთმანეთს სწორ პასუხებს და აპლიკანტის მიერ გაცემულ პასუხებს და სპეციალურ ფორმაში აღნიშნავს:
  - ა) შეკითხვების საერთო რაოდენობას;
  - ბ) სწორი პასუხების საერთო რაოდენობას;
  - გ) მიღებულ შეფასებას;
  - დ) გვარს, სახელს, გამომცდელის ხელმოწერას.
8. ტესტირება, რომელიც ტარდება ელექტრონული/კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, მიღებულ შედეგებზე ინფორმაცია აპლიკანტს მიეწოდება ტესტირების დასრულებისთანავე.
9. აპლიკანტს ტესტირების შედეგები ეცნობება სარეგისტრაციო სისტემაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის გზით, ტესტირებიდან 3 დღის ვადაში.
10. ტესტი ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ აპლიკანტი გადალახავს საერთო უმაღლესი შეფასების 35 %-ს. თუ ნამუშევარი განსაზღვრულზე ნაკლები ქულით შეფასდა, აღნიშნული ხდება აპლიკანტისთვის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.
11. ტესტირების შედეგებისა და შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილების (სხდომის ოქმი) საფუძველზეც კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აპლიკანტისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების, ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
12. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ინახავს ტესტირების დოკუმენტებს ჩარიცხვის პროცესის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში.

### მუხლი 13. საგამოცდო ოთახის მოწყობა

1. შეფასების დღეს საგამოცდო ოთახში გამოსაცდელი პირების შესვლამდე სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია შეამოწმოს:
  - ა) ადგილების რაოდენობა (მოწმდება, რომ ადგილების რაოდენობა საგამოცდო ოთახში შეესაბამება მოცემული ტესტირების სესიისთვის დარეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობას);



## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

ბ) კედლებზე პოსტერები, სურათები და ა.შ. (კედლებიდან უნდა ჩამოიხსნას ყველა ის თვალსაჩინოებები, რაც შეიძლება შეიცავდეს აპლიკანტისთვის სასარგებლო ინფორმაციას კითხვებზე სწორი პასუხების გასაცემად);  
გ) მოწმდება საგამოცდო ოთახში საათის არსებობა და მისი გამართული მუშაობა. ასევე, მოწმდება, რომ საათი კარგად ჩანს ყველა მხრიდან/ადგილიდან.

### მუხლი 14. ტესტირების წარმართვა

1. ტესტირების მიმდინარეობისას დამკვირვებელს უფლება არ აქვს დატოვოს საკლასო ოთახი. იგი აკვირდება გამოცდის მიმდინარეობის პროცესს, რათა არ დაირღვეს ტესტირების წარმართვის წესები. გარდა სპეციალური შემთხვევებისა, როგორც წესი, საკლასო ოთახში იმყოფება ერთი დამკვირვებელი.
2. ტესტირების მიმდინარეობისას საგამოცდო ოთახში დაიშვებიან:
  - ა) აპლიკანტები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ტესტირებაზე;
  - ბ) სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი/პირები;
  - გ) ხარისხის მართვაზე/უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/პირები;
  - დ) გარე პირები - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები.
3. აპლიკანტმა ტესტირებაზე დასაშვებად უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
4. დამკვირვებელი ადასტურებს აპლიკანტის ვინაობას და აკეთებს შესაბამის ჩანაწერს.
5. აპლიკანტის იდენტიფიცირების პროცესი წარმოადგენს დამკვირვებლის პასუხისმგებლობას. აპლიკანტი, რომლის ვინაობაც ვერ დადასტურდება, ტესტირებაზე არ დაიშვება.

### მუხლი 15. დამკვირვებლის უფლება-მოვალეობანი

1. ტესტირებაზე დამკვირვებელი ვალდებულია:
  - ა) ტესტირების ჩატარების ადგილას გამოცხადდეს ტესტირების დაწყებამდე არანაკლებ ნახევარი საათით ადრე და აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას;
  - ბ) რეგისტრაციის უწყისში გაატაროს აპლიკანტები და ხელმოწერით დააფიქსირებინოს ტესტირებაზე გამოცხადება (ცხრილი 1);
  - გ) ტესტირების დაწყებამდე აპლიკანტს გააცნოს წესები, რომლებიც დაცულ უნდა იქნეს ტესტირების მიმდინარეობის პროცესში;
  - დ) ტესტირების არაელექტრონულად წარმართვის შემთხვევაში, აპლიკანტთა თვალწინ გახსნას დალუქული კონვერტი და დაარიგოს ტესტები;
  - ე) დააკვირდეს ტესტირების მიმდინარეობას მისთვის განსაზღვრულ სექტორში;
  - ვ) გასცეს პასუხი აპლიკანტთა მიერ დასმულ პროცედურულ და ტექნიკურ შეკითხვებს;
  - ზ) არ გასცეს პასუხი ტესტის შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებს;
  - თ) აპლიკანტის ტესტირებიდან მოხსნის შემთხვევაში, გააკეთოს ჩანაწერი ტესტირებიდან მოხსნის მიზეზის მითითებით, მოაწეროს ხელი და გადასცეს კოლეჯის ადმინისტრაციას (ცხრილი 1);
  - ი) ტესტირებისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე გააფრთხილოს აპლიკანტები ტესტირების დროის ამოწურვის შესახებ;
  - კ) ტესტირების არაელექტრონულად წარმართვის შემთხვევაში, ტესტირების დასრულების შემდეგ აპლიკანტებს ჩამოართვას ნამუშევრები და გადასცეს ისინი შესამოწმებლად კომისიის წევრებს;
  - ლ) უზრუნველყოს ნამუშევრების კონფიდენციალობის დაცვა;
  - მ) არ დატოვოს მისთვის განსაზღვრული სექტორი, ტესტირების დასრულებამდე.

### მუხლი 16. აპლიკანტის უფლება-მოვალეობანი

1. აპლიკანტი ვალდებულია:
  - ა) გამოცხადდეს დაწესებულებაში ტესტირების დაწყებამდე 30 წუთით ადრე (დაგვიანების ან სხვა დროს გამოცხადების შემთხვევაში აპლიკანტი ტესტირებაზე არ დაიშვება).
  - ბ) ტესტირების დაწყებამდე წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.
  - გ) მაგიდაზე არ განათავსოს არც ერთი ნივთი, გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისთვის აუცილებელი ნივთებისა (საჭიროების შემთხვევაში).

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

დ) ტესტირების არაელექტრონულად წარმართვის შემთხვევაში, შეამოწმოს მისი ტესტის ხარვეზიანობა. დაზიანების არსებობის შემთხვევაში მიმართოს დამკვირვებელს. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ, ასეთი პრეტენზია აღარ მიიღება.

ე) არ დაიწყოს ტესტზე მუშაობა, ვიდრე არ დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა.

ვ) ტესტირების მიმდინარეობისას დაიცვას ეთიკის კოდექსითა და ამ წესით გათვალისწინებული ნორმები.

ზ) საჭიროების შემთხვევაში, ხელის აწევით მიმართოს დამკვირვებელს შეკითხვით, ისე რომ ხელი არ შეუშალოს სხვა აპლიკანტს.

თ) დაემორჩილოს ტესტირების პროცესის დამკვირვებლის მითითებებს და გადაწყვეტილებას, თუნდაც მისი ტესტირებიდან მოხსნის შესახებ.

ი) ტესტირებისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვისთანავე დროულად ჩააბაროს ნამუშევარი.

2. აპლიკანტს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს ტესტირებისთვის სათანადო პირობები (სამუშაო სივრცე, განათება).

ბ) ტესტირების სივრცეში შეიტანოს სასმელი წყალი.

გ) ტესტირების შედეგების გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს მიღებული შეფასება.

### მუხლი 17. ტესტირების ჩატარება

1. ტესტირებაზე აკრძალულია:

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;

ბ) დამხმარე მასალის - სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების ტესტირებაზე შეტანა;

გ) ტესტირების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნის/საგანთა ჯგუფით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა;

დ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა აპლიკანტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

ე) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ თანმხლებ პირთან ერთად;

ვ) მუშაობის დაწყება შესაბამისი მითითების გარეშე;

ზ) ტესტის საკითხების გადაწერა, გადაღება, მისი გარეთ გატანა ან გატანის მცდელობა ნებისმიერი ფორმით.

2. აპლიკანტის ტესტირებიდან მოხსნის საფუძვლებია:

ა) აპლიკანტი გაფრთხილების გარეშე იხსნება ტესტირებიდან, თუ აღმოჩენილ იქნება მობილური ტელეფონი, კალკულატორი, დამხმარე მასალა (გარდა ნებადართული შემთხვევისა), ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო (თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში).

ბ) წესრიგის დარღვევის ან ტესტირების პროცესში მონაწილე პირის შეურაცხყოფა, ან სხვა მსგავსი შემთხვევა.

გ) ტესტირებაზე გამოცხადება ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ.

დ) სხვა პირის ნაცვლად ტესტირებაზე გამოცხადება.

3. ნებისმიერი სხვა წესის დარღვევისას აპლიკანტი იღებს გაფრთხილებას. მეორე გაფრთხილების მიღების შემთხვევაში, დამკვირვებელი ვალდებულია ტესტირებიდან მოხსნას აპლიკანტი.

4. არ გასწორდება იმ აპლიკანტის ნაშრომი, რომელიც ტესტირებისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მასზე მუშაობას.

5. აპლიკანტი, რომელიც არ ეთანხმება ტესტირებაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.

## თავი IV გასაუბრება

### მუხლი 18. გასაუბრებაში მონაწილეობის უფლება

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

1. გასაუბრებაში მონაწილეობს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტი, რომელზე შერჩევის ფორმად კონკრეტული მიღებისთვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია გასაუბრება.
2. გასაუბრებას ატარებს საკონკურსო კომისია, რომელიც თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მტკიცდება დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტით.

### მუხლი 19. საკონკურსო კომისიის შექმნა

1. საკონკურსო კომისია შედგება არანაკლებ სამი წევრისგან, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრ(ებ)ი. სასურველია კომისიაში შედიოდეს დამსაქმებელი/პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი.
2. კომისიის წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ.
3. აპლიკანტთა შეფასება არის დიფერენცირებული. მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს საკონკურსო კომისია, რაც წინასწარ არის ცნობილი აპლიკანტებისათვის.
4. გასაუბრებისას კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტს, წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (იხ. ცხრილი1).
5. საკონკურსო კომისიის მიერ ხდება შედეგების შეჯერება და პროგრამის ფარგლებში მისაღები კვოტის შესაბამისად იმ აპლიკანტთა გამოვლენა, რომელთაც გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი-რეიტინგული სიებით უმაღლესიდან უმდაბლესისკენ.
6. საგანმანათლებლო პროგრამებზე კონკურსის შედეგები აისახება შესაბამის კომისიის სხდომის ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

### თავი V - განმეორებითი შეფასება

#### მუხლი 20. აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში (განმეორებით) შეფასების უზრუნველყოფის წესი და პირობები

1. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი საპატიო მიზეზით (წარადგენს მტკიცებულებას) ვერ გამოცხადდება შეფასებაზე, მას საშუალება აქვს განმეორებით ერთხელ გავიდეს ტესტირებაზე/გასაუბრებაზე, რისთვისაც ის განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს შეფასების თარიღიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.
2. განმეორებით შეფასებაზე გამოუცხადებლობა წარმოადგენს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს
3. განმეორებითი შეფასება ტარდება განცხადების წარდგენიდან მაქსიმუმ ერთი კვირის განმავლობაში.
4. განმეორებითი შეფასების შედეგები აპლიკანტს ეცნობება შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 (ორ) სამუშაო დღეში.

### თავი VI - აპელაცია

#### მუხლი 21. ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების აპელაციის წესი და ვადები

1. აპლიკანტს უფლება აქვს წერილობითი განცხადებით გაასაჩივროს შედეგები მისი გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
2. საჩივრის განხილვის მიზნით დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს იქმნება სააპელაციო კომისია (მინიმუმ 3 წევრი), რომლის შემადგენლობა განისაზღვრება საჩივრის შინაარსის მიხედვით, გასაჩივრებულია პროცედურული საკითხები თუ მიღებული შეფასება.
3. სააპელაციო კომისიაში შეიძლება შედიოდეს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დარგის სპეციალისტები, დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები, ან/და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში საპელაციო კომისიაში შედის პროგრამის თანაგანმანხორციელებელი და სხვა პარტნიორი ორგანიზაციის/ორგანიზაციების წარმომადგენელი.

- საპელაციო კომისია კომპლექტდება იმ პირებისგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ შერჩევის პროცესში.
- საპელაციო კომისია ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს.
- საპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს და უფლება აქვს ტესტირებისას აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურებისას ხელახლა შეაფასოს ნამუშევარი და დაწეროს უფრო მაღალი/დაბალი შეფასება ან ტესტირების პროცედურის დარღვევისას - დატოვოს იგივე შეფასება.
- საპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს, ეცნობა საკონკურსო კომისიის მუშაობის ამსახველ ოქმს (გასაუბრებისას) და იღებს გადაწყვეტილებას შეფასების კომისიის მიერ დაწერილი ქულის ძალაში დატოვების ან/და შეცვლის შესახებ. საკითხის მოკვლევისას შესაძლებელია განხორციელდეს აპლიკანტთან და კომისიის წევრებთან გასაუბრება.
- საპელაციო კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
  - აპლიკანტის მიერ შერჩევის პროცედურის დარღვევისას – მისი ნული ქულით შეფასების თაობაზე;
  - აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურებისას – მისი შეფასების გადახედვის თაობაზე.
- კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
- საპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთი სამუშაო დღის ვადაში ეცნობება აპლიკანტს ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
- საპელაციო კომისიის მუშაობის შედეგი აისახება ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავჯდომარე და მდივანი.

### მუხლი 24. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტები დაწესებულებაში ირიცხებიან პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში;
- დაწესებულება განიხილავს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;
- თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით დაწესებულების მიერ გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტო. მონაცემები აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და ხდება აპლიკანტის ინფორმირება სატელეფონო ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით დაწესებულება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში ასახავს ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

### მუხლი 25. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება აქვთ
  - ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;
  - ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
  - გ) საქართველოს მოქალაქეები და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ზინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20<sup>13</sup> მუხლით გათვალისწინებული პირები, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.
2. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას დაწესებულება ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში ამ წესით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში.
4. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ინფორმაცია აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე გათვალისწინებული აპლიკანტების ჩარიცხვა სრულდება დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების გათვალისწინებულ ეტაპამდე.

### მუხლი 26. უცხოენოვან პროგრამებზე ჩარიცხვა

1. უცხოენოვან პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება წელიწადში ერთხელ.
2. უცხოენოვან პროგრამაზე მიღების გამოცხადება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, შერჩევა და პირთა ჩარიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს ამ წესით განსაზღვრული ჩარიცხვის პროცედურის განსხვავებულ ვადებსა და ეტაპებს.
3. დაწესებულების მიერ უცხოენოვან პროგრამაზე ჩარიცხვისთვის დადგენილი პირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შემოწმებას, ასევე პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
4. უცხოენოვან პროგრამაზე შერჩევა ხორციელდება პროგრამის განხორციელების ენაზე.
5. უცხოენოვანი პროგრამა არ ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ენის, ასევე იმ მოდულების სწავლებას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საფეხურის სწავლის შედეგები.
6. უცხოენოვან პროგრამაზე მიღება ცხადდება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლითაც განისაზღვრება:
  - ა) მისაღები პროგრამების ჩამონათვალი და ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ჩარიცხვის ეტაპები და ვადები;
  - ბ) პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა;
  - გ) პროგრამის განხორციელების ენის ფლობის დონე და შესაბამის დონეზე ენის ფლობის დადასტურების პირობები;
  - დ) დაწესებულების მიერ დადგენილი სხვა პირობები.

## ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

7. უცხოენოვან პროგრამაზე მიღებისთვის გამოცემული აქტი, მისი გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, ასევე განათავსდება დაწესებულების ვებ-გვერდზე.
8. ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია უფასოა და წარმოებს ადგილზე პასპორტისა და მისი ქართული თარგმანის წარდგენისას.
9. პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით, ყველა აპლიკანტი ვალდებულია გაიაროს გასაუბრება.
10. გასაუბრების ვიდეოჩანაწერი იტვირთება დაწესებულების ღრუბლოვან საცავში და საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომი იქნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის/განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის.
11. სწავლის მსურველმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დოკუმენტაციის წარდგენამდე, უნდა მოახდინოს უცხოეთში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში.
12. ყველა დოკუმენტი უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე და დადასტურდეს ნოტარიულად. არასრული დოკუმენტაციის შემთხვევაში საბუთები არ მიიღება განსახილველად.
13. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

### მუხლი 27. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება

1. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით დაწესებულება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში ასახავს ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
2. შესავსები ადგილების რაოდენობა განისაზღვრება ჩარიცხვის დასრულების შემდეგ პროგრამაზე მისაღები ადგილებიდან დარჩენილი თავისუფალი ადგილების მიხედვით.
3. მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს, იმ აპლიკანტებისათვის დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელთაც ვერ მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
4. პროგრამებზე თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, აპლიკანტთა შერჩევა, რეიტინგული სიების შედგენა, შედეგების ასახვა და ჩარიცხვა ხორციელდება ამ წესის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად.
5. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების პროცესი სრულდება დაწესებულების მიერ სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

### მუხლი 28. პროგრამაზე ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. კოლეჯის მიერ დადგენილი განაცხადის შევსებულ ფორმას პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მოთხოვნის თაობაზე, თან ერთვის:
  - ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (საბაზო განათლების/ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი);
  - გ) უცხოეთში/ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში - განათლების აღიარების დოკუმენტი;
  - დ) ორი ფოტოსურათი 3x4;
  - ე) არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში - განმცხადებლის/ხელშეკრულებაზე ხელმოწერილი პირის პირადობის მოწმობა და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის სათანადო უფლებამოსილებას წარმომადგენლობაზე (დაბადების მოწმობა/მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა).

## თავი VIII

### მუხლი 29. დასკვნითი დებულებები

1. დოკუმენტში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით.

ავიგენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

ცხრილი 1

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება						
#	ტესტირებაზე გამოცხადების დადასტურების მიზნით			ტესტირებიდან მოხსნის შემთხვევაში		შენიშვნა
	აპლიკანტის სახელი გვარი	აპლიკანტის ხელმოწერა	გამოცხადების დრო	საფუძვლის/მიზეზის მითითება	დამკვირვებლის ხელმოწერა	
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						

ცხრილი 2

აპლიკანტთა შეფასება გასაუბრების გზით

აპლიკანტის სახელი, გვარი:		
კომისიის წევრები	1.	
	2.	
	3.	
გასაუბრების თარიღი და დრო		
<p align="center"><b>კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები</b></p> <p align="center">0 ქულა - ვერ დასტურდება; 1 ქულა - (საშუალოზე დაბალი) 2 ქულა - დამაკმაყოფილებელი; 3 ქულა - მაღალი</p>		
კრიტერიუმი	ქულა	კომენტარი
აპლიკანტი საუბრობს არჩეული პროფესიის შესახებ		
აქვს კომუნიკაციის უნარი		
აპლიკანტი არის მოტივირებული		
კომისიის დასკვნა:	საერთო ქულა	კომისიის წევრის განსხვავებული აზრი